**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**
**MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA**

**სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო**
**LEPL AGENCY FOR STATE CARE AND ASSISTANCE FOR THE (STATUTORY) VICTIMS OF HUMAN TRAFFICKING**

KA030814466354720

საქართველო, თბილისი 0177, მ.თამარაშვილის ქ. N15ა; ტელ/ფაქსი: (+995 32) 239 53 50
**15a M.Tamarashvili st. Tbilisi 0177, Georgia; Tel/Fax (+995 32) 239 53 50**
**www.atipfund.gov.ge**

**№ 07/2215** **13 / აპრილი / 2020 წ.**

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს
საქართველოში ბატონ ღასან ხალილს

ბატონო ღასან,

როგორც თქვენთვის ცნობილია საქართველოში ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის" მიზნების განხორციელებისათვის, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან თანამშრომლობით, იგეგმება ბავშვთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის ამოქმედება, რომლის მიზანი იქნება ბავშვთა მიმართ ძალადობის, ჯანმრთელობის, განათლების და სხვა ბავშვთა საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

ვინაიდან ასეთი ცხელი ხაზი სახელმწიფოს ფარგლებში დღესდღეობით არ ფუნქციონირებს და ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული გარემოებიდან გამომდინარე, არსებობს მომეტებული საშიშროება, რომ ბავშვები აღმოჩნდნენ სხვადასხვა, სოციალური, ჯანმრთელობის, ძალადობის ა.შ. რისკის ქვეშ, ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზის შექმნის საკითხი საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას და სწრაფ გადაწყვეტას. შესაბამისად, შეთანხმებისამებრ წარმოგიდგენთ საპროექტო განაცხადს.

გთხოვთ, აღმოგვიჩინოთ დახმარება.

პატივისცემით,

დირექტორი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად მერი მაღლაფერიძე